შპს „ზურაბ საბახტარაშვილის რეპროდუქციული კლინიკა“ -ს (ს/N 205231710)

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს „ზურაბ საბახტარაშვილის რეპროდუქციული კლინიკა“ -ს (ს/N 205231710)

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის ცვლილების შესახებ

	31.12.2020	31.12.2019
ამონაგები	4 079 027	3 247 659
თვითღირებულება	2 655 603	2 288 426
საერთო მოგება	**1 423 424**	**959 233**
სხვა შემოსავლები	23 971	-
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	(508 195)	(486 435)
მიწოდების დანახარჯები	(56 106)	(84 172)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	5 194	-
სხვა ხარჯები (საკურსო სხვაობა)	700	-
საოპერაციო ხარჯები	**(534 436)**	**(570 607)**
საოპერაციო მოგება		**1 529 840**
ფინანსური შემოსავალი	17 447	39 487
ფინანსური ხარჯი	(26 837)	(29 747)
ფინანსური ხარჯი - წმინდა	(9 390)	9 740
მოგება დაბეგვრამდე	**879 597**	**398 367**
მოგების გადასახადი	(64 290)	(42 774)
პერიოდის მოგება	**815 307**	**355 593**
სხვა სრული შემოსავალი:		
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან		-
ძირითად საშუალებათა გაუფასურების ზარალი		-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	**815 307**	**355 593**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 20 მაისს:

დირექტორი
არსენ გვენეტაძე

შპს „ზურაბ საბახტარაშვილის რეპროდუქციული კლინიკა“ -ს (ს/N 205231710)

ფინანსური მდგომარეობის აწგარიშგება

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	1 918 747	2 248 468	2 291 158
საინვესტიციო ქონება			
ბიოლოგიური აქტივი			
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში			
	1 918 747	**2 248 468**	**2 291 158**
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	925 758	320 568	132 143
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	105 540	106 112	73 003
საგადასახადო აქტივები	16 225	23 849	24 730
მარაგები	278 818	256 339	209 408
წინასწარ გაწეული ხარჯები, გადახდილი ავანსები	1 182	1 767	
	1 327 523	**708 635**	**439 284**
მთლიანი აქტივები	**3 246 270**	**2 957 103**	**2 730 442**
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	150 000	150 000	150 000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	2 898 140	2 447 144	2 420 761
	3 048 140	**2 597 144**	**2 570 761**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები			
ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე	108 717	205 123	79 968
	108 717	**205 123**	**79 968**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები			
მიღებული ავანსი		7 780	0
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	14 198	70 579	11 206
საგადასახადო ვალდებულებები			
ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე	59 790	61 446	53 477
საპენსიო ანარიცხები	395		
გადასახდელი დივიდენდი	15 030	15 030	15 030
	89 413	**154 836**	**79 713**
მთლიანი ვალდებულებები	**198 130**	**359 959**	**159 681**
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები	**3 246 270**	**2 957 103**	**2 730 442**

დირექტორი

შპს „ზურაბ საბახტარაშვილის რეპროდუქციული კლინიკა“ -ს (ს/N **205231710**)

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

არსენ გვენეტაძე

შპს „ზურაბ საბახტარაშვილის რეპროდუქციული კლინიკა“ -ს (ს/N 205231710)

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

(თანხები გამოხატულია ლარში)

ისტორიული ღირებულება	დამფუძნებლის შენატანი	გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	სულ კაპიტალი
2018 წლის 31 დეკემბრისათვის	150000	2420761	2570761
წილის კაპიტალის შევსება	0	0	0
წმინდა მოგება (ზარალი)	0	355593	355593
გამოცხადებული და გაცემული დივიდენდი		329209	329209
2019 წლის 31 დეკემბრისათვის	150000	2447145	2597145
წილის კაპიტალის შევსება	0	0	0
წმინდა მოგება (ზარალი)	0	815307	815307
გამოცხადებული და გაცემული დივიდენდი		364312	364312
2020 წლის 31 დეკემბრისათვის	150000	2898141	3048141

დირექტორი
არსენ გვენეტაძე

1. **კორპორატიული ინფორმაცია**

შპს „ზურაბ საბახტარაშვილის რეპროდუქციული კლინიკა“
საიდენტიფიკაციო ნომრით: 205231710 იურიდიულ პირად დარეგისტრირდა საქართველოში 2007 წლის 21 ნოემბერს.
დირექტორი - არსენ გვენეტაძე, 01002000028

ძირითადი საქმიანობა. შპს „ზურაბ საბახტარაშვილის რეპროდუქციული კლინიკა“ ძირითადი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება, ჯანდაცვის, განათლების, კულტურული მომსახურების და სხვა სოციალური მომსახურების საქმიანობების რეგულირება, სოციალური უსაფრთხოების გარდა.

კომპანიაში საანგარიშგებო წლის განმავლობაში საშუალოდ დასაქმებული იყო 46 თანამშრომელი.
იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი.
იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, რადიანის ქ., #17, ბინა 3;
ფაქტობრივი საქმიანობის ადგილი: თბილისი/დიდუბე-ჩუღურეთი/ნინო ჯავახიშვილის ქუჩა 6
კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის დამუძნებელი პარტნიორები არიან:

არსენ გვენეტაძე, 01002000028	25%
თამარ საბახტარაშვილი, 01008021706	18.75%
ლუკა გვენეტაძე, 01008037499	18.75%
საბა საბახტარაშვილი, 01008016082	18.75%
მარიამ გვენეტაძე, 01008062148	18.75%

მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად. სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს შესადარის ინფორმაციას.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის რომელიც შესადარისია 2019 -2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობის იგივე ინფორმაციასთან. 2019-2018 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული პერიოდისთვის სრული შემოსავლის ანგარიშგებას და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას. ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად, აქამდე კომპანიას არ მოუმზადებია ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისად მსს ფასს-ებზე გადასვლას არ გამოუწვევია საწყისი ნაშთების კორექტირება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების

საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2020 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095
2018 წლის 31 დეკემბერი	2.6766	3.0701

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო ვადა აღემატება სტანდარტულ საკრედიტო ვადას, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება უნდა გადაისინჯოს, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი. იმ შემთხვევაში თუ ასეთი მტკიცებულება არსებობს, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

ძირითადი საშუალებები

- თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა გახორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.
- ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად

ჯგუფი	სასიცოცხლო ვადა (წელი)
სამედიცინო აღჭურვილობა	3-5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-5

შენობები	20
ოფისის აღჭურვილობა	3-5

- თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში.

- ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

მარაგები.

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

აქტივების გაუფასურება. ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების მაჩვენებელი, ხდება აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება და შედარება მის საბალანსო ღირებულებასთან. იმ შემთხვევაში თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება მცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში. ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება

კონტრაგენტებისგან მომავალში მისაღები თანხების ალბათობის შეფასება არის იდენტიფიკატორი იმისა, არის თუ არა მოთხოვნები გაუფასურებული. უიმედო ვალების ჩამოწერა ხდება მათი გამოვლენის დროს, იმის გათვალისწინებით, რომ თითოეული მოთხოვნისთვის ინდივიდუალურად უნდა განისაზღვროს გაუფასურება. იმ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნული პროცესის განხორციელება შეუძლებელია, უნდა განხორციელდეს გაუფასურების კოლექტიურად შეფასება. შედეგად, ინდივიდუალური და კოლექტიური შეფასებების ჩატარების მეთოდი საჭიროებს მნიშვნელოვან შეფასებებს, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს მოთხოვნების საბალანსო ღირებულებაზე საანგარიშო თარიღისთვის.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

მიღებული ავანსები წარმოიშობა, მაშინ როდესაც თანხა მიღებულია წინასწარ. წინასწარგადახდები (ავანსები) ფინანსური მდგომარეობის ანგარშგებაში წარმოადგენს ვალდებულებას იქამდე, სანამ არ მოხდება მისი გამომუშავება. როგორ კი ავანსი გამომუშავდება, იმავდროულად ვალდებულება შემცირდება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შემოსავალი აღიარდება.

სესხები.

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

იჯარა.

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ხდება ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად. ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული

ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები გამოაკლდება მოგებისა და ზარალის განსაზღვრისას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ფინანსური იჯარის პირობით აღებულ აქტივს მოიჯარემ ცვეთა უნდა დაარიცხოს წინამდებარე სტანდარტის შესაბამისი განყოფილების მიხედვით, რომელიც შეეხება ამ ტიპის აქტივს.

თუ არ არსებობს იმის გონივრული რწმენა, რომ იჯარის ვადის გასვლის შემდეგ მოიჯარე მიიღებს საკუთრების უფლებას, აქტივი მთლიანად უნდა ჩამოიწეროს იჯარის ვადასა და მის სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესი პერიოდის განმავლობაში. ასევე, მოიჯარემ ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის უნდა შეაფასოს, გაუფასურებულია თუ არა ფინანსური იჯარით აღებული აქტივი

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები, და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება- განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარტოოდენ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით, ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

შემოსავლები აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ ცალსახად შესაძლებელია ოპერაციის შედეგად ეკონომიკური სარგებლის მიღება და თანხობრივად ამ შემოსავლის საიმედოდ შეფასება. აღიარების მომენტი არ არის დამოკიდებული ეკონომიკური შემოსავლის ფაქტობრივად მიღების დროზე. შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები შეთავაზების სამართლიანი ღირებულებით გადასახადების გარეშე. ამ პროცესში გაითვალისწინება გადახდის პირობები.

ყველა სხვა საზღაური, საკომისიო და სხვა შემოსავალი და ხარჯი, როგორც წესი, აღირიცხება დარიცხვის მეთოდით, გარკვეული ტრანზაქციის დასრულების მიხედვით, რაც დგინდება მთლიანი განსახორციელებელი მომსახურების ფაქტობრივად განხორციელებული ნაწილის გათვალისწინებით.

გადასახადები.

მოგების გადასახადი - 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად.

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად „კომპანია“ იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი „კომპანიის“ მიერ იმიჯნება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი). „კომპანიის“ მიერ დივიდენდის სახით განაწილებული

მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება. სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმომშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

საშემოსავლო გადასახადი „კომპანია“ იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით - 20%. საშემოსავლო გადასახადი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

კაპიტალი.. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები უნდა შეფასდეს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობის, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობების გათვალისწინებით. როდესაც გადავადებულია საწარმოში ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლა და შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით).

ამონაგები აღიარდება როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- შესაძლებელია შემოსავლების მოცულობის ზუსტად განსაზღვრა;
- სავარაუდოა, რომ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში;
- ბალანსის თარიღისათვის ტრანზაქციის დასრულების ეტაპის საკმარისად ზუსტად განსაზღვრა შესაძლებელია და
- ოპერაციის განხორციელებისათვის გაწეული ხარჯებისა და მისი დასრულებისათვის მომავალში საჭირო ხარჯების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია;

შემოსავალი სამედიცინო/ჯანდაცვის სერვისებიდან

24 საათის განმავლობაში საავადმყოფოში ყოფნის სტაციონარულ მომსახურებასთან დაკავშირებული შემოსავლები აღიარებულია პაციენტის სამედიცინო ჩანაწერის დახურვის დღის მიხედვით. შემოსავლები პაციენტებიდან, რომელთა სტაციონარული ან ამბულატორული მომსახურება 24 საათზე მეტ ხანს გრძელდება, აღიარდება შემდეგნაირად:

1. ინდივიდუალური პაციენტების მიერ დაფარული მკურნალობის ღირებულება აღიარებულია შემოსავლის სახით, როდესაც სამედიცინო მომსახურება გაწეულია და ანგარიში წარდგენილია პაციენტზე.
2. პაციენტის სადაზღვევო პოლისის მიერ დაფარული მკურნალობის ღირებულება აღიარებულია შემოსავლის სახით, როდესაც სამედიცინო მომსახურება სრულად გაეწია პაციენტს, მოხდა პაციენტის სამედიცინო ჩანაწერის დახურვა და არსებობს გონივრული საფუძველი, რომ ანაზღაურების მიღება მოხდება ჯანრთელობის დამზღვევი პროვაიდერისგან. სამედიცინო ჩანაწერებზე დაფუძვნებით აღიარებული შემოსავალი წარედგინება: (ა)პაციენტის ჯანმრთელობის დაზღვევის პროვაიდერებს, სადაზღვევო პოლიტიკის მიხედვით; ან (ბ)საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური

დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს, ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პოლიტიკის პირობების შესაბამისად

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

შენიშვნები

შპს „ზურაბ საბახტარაშვილის რეპროდუქციული კლინიკა“ -ს (ს/N 205231710)

	შენობები	მანქანა-დანადგარები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სამედიცინო აღჭურვილობა	სულ
01 იანვარი 2018	**409 330**	**82 783**	**108 706**	**965 925**	**1 566 744**
შემოსვლა		860	1 844	248 241	250 945
გადაფასება	1 513 302	4 969	10 366	81 833	1 610 470
გასვლა		163		119 810	119 973
გაუფასურება ცვეთის ელიმინაცია	122 632	39 557	74 141	494 441	730 772
2018 წლის ცვეთა	90 000	16 149	15 249	164 858	286 256
31 დეკემბერი 2018	**1 710 000**	**32 742**	**31 525**	**516 889**	**2 291 157**
შემოსვლა		**3 762**	**15 366**	**260 683**	**279 811**
გადაფასება					
გასვლა			**3 574**		
2019 წლის ცვეთა	**90 000**	**16 854**	**16 615**	**195 458**	**318 927**
31 დეკემბერი 2019	**1 620 000**	**19 650**	**26 703**	**582 115**	**2 248 468**
შემოსვლა		**1 500**	**2 685**	**29 572**	**33 757**
გადაფასება					
გასვლა					
2020 წლის ცვეთა	**90 000**	**17 110**	**17 837**	**238 532**	**363 479**
31 დეკემბერი 2020	**1 530 000**	**4 041**	**11 551**	**373 155**	**1 918 746**

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი რეალიზაციიდან წარმოადგებს სამედიცინო საქმიანობიდან (მომსახურება და მედიკამენტების რეალიზაცია) გენერირებულ შემოსავალს დღგ-ს გარეშე.

ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2020
ფული ბანკში	915 006
ფული სალაროში	10 751
ჯამი	**925 758**

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ყველა თანხა მოკლევადიანია. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება უტოლდება მის სამართლიან ღირებულებას. სოციალური მომსახურების სააგენტოდან და სადაზღვევო კომპანიებიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს პაციენტთა კერძო ან სახელმწიფო ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისით დაფარულ მკურნალობის/ჯანდაცვის მომსახურების საკომპენსაციო თანხას.

ჯამი	**105 540**

მარაგები

	31 დეკემბერი 2020
ნედლეული და მასალები	278 818
ჯამი	**278 818**

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 983 234 ლარი (მ.შ 2020 წელს რეალიზებულია 165 586 ლარის მედიკამენტი, მოხმარებულია 817 092 ლარის მედიკამენტი,). მიმდინარე პერიოდში მარაგებისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალმა შეადგინა 3147 ლარი , იგი ჩართულია რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების მუხლში.

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო ვალდებულებები	14 198
მიღებული ავანსები	0
გადასახდელი დივიდენდები	15 030
ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე	59 790
საგადასახადო ვალდებულებები	0
ჯამი	**89 018**

გარიგებებისა და მომსახურებისთვის გადასახდელ ვალდებულებებში იგულისხმება სხვადასხვა სახელშეკრულებო ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია შესაბამის ხარჯებთან და რომლებიც გაწეულია, მაგრამ არ არის გადახდილი წლის დასასრულს.

კრედიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის.

გამოუმუშავებელი შემოსავალი (მიღებული ავანსები) 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კომპანიას ერიცხევა ავანსად მიღებული თანხები 0 ლარი, რომელიც ბალანსის „გამოუმუშავაბელი შემოსავლის“ მუხლში არის წარმოდგენილი. მიღებული ავანსები წარმოიშობა, მაშინ როდესაც თანხა მიღებულია წინასწარ. წინასწარგადახდები (ავანსები) ფინანსური მდგომარეობის ანგარშგებაში წარმოადგენს ვალდებულებას იქამდე,

სანამ არ მოხდება მისი გამომუშავება. როგორ კი ავანსი გამომუშავდება, იმავდროულად ვალდებულება შემცირდება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შემოსავალი აღიარდება. წინასწარ გადახდილი თანხების 100% წარმოადგენს სტუდენტებისაგან მიღებულ ავანსებს.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლებისგან. კომპანიას ყავს როგორც შტატიანი ასევე შტატგარეშე თანამშრომლები, თუმცა მათი სახელფასო ხარჯები და შენატანები საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში არ განსხვავდება საქართველოს საგადადასახადო კოდექსის შესაბამისად. გასათვალისწინებელია ის ფაქტი რომ პერსონალის ხარჯები განაწილებულია ფუნქციურად, სამედიცინო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯებში და საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ხელფასის, საგადასახადო და ცვეთის ხარჯები.

ინფორმაცია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პერსონალის კომპენსაციის შესახებ - უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაში იგულისხმება ის პირები, მათ შორის ნებისმიერი დირექტორი (აღმასრულებელი ან სხვა ფუნქციის შემსრულებელი), რომლებსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ მინიჭებული აქვთ საწარმოს საქმიანობის დაგეგმვის, მართვისა და კონტროლისათვის აუცილებელი უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა. კომპენსაცია მოიცავს დაქირავებულ პირთა ყველა გასამრჯელოს (რომლებიც განსაზღვრულია 28-ე განყოფილებით - „დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები“), მათ შორის აქციებზე დაფუძნებული გადახდის ფორმით მიღებულ გასამრჯელოს

დაქირავებულ პირთა გასამრჯელო მოიცავს ნებისმიერი ფორმის ანაზღაურებას, რომელიც გადახდილია, გადასახდელია ან უზრუნველყოფილია საწარმოს მიერ, ან მისი სახელით (მაგალითად, მშობელი საწარმოს ან აქციონერის მიერ), საწარმოსათვის გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. გარდა ამისა, მოიცავს ისეთი სახის ანაზღაურებასაც, რომელიც გადაიხდება მოცემული საწარმოს მშობელი საწარმოს სახელით, საწარმოსთვის მიწოდებული საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების მთლიანი ოდენობა შეადგენს:

	2020	2019	2018
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელთა ანაზღაურება	ლარი	ლარი	ლარი
ხელფასები და დანამატები			
არსენ გვენეტაძე (25% წილის მფლობელი)	314 948	311 794	296 915
ლუკა გვენეტაძე (18,75% წილის მფლობელის მეუღლე)	7 700	8 400	22 458
სულ თანხა	322 648	320 194	319 373

გრძელვადიანი ვალდებულებები	**31 დეკემბერი 2020**
ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე	108 717

ფინანსური იჯარის მთლიანი ვალდებულება - მომავალი საიჯარო გადასახდელები	**2020**
1 წელზე ნაკლები	59 790
1-დან 5 წლამდე	108 717
5 წელზე მეტი	
ჯამი	**168 507**

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები (საბანკო ბალანსები, დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები და დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებები (გადასახდელები) იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში.

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 20 მაისს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები - 2020 წლის დასაწყისში მსოფლიო დადგა მწვავე ვირუსული დაავადების კორონავირუსის („COVID 19”) გავრცელების საფრთხის წინაშე. 2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანზიაციამ კორონავირუსთან დაკავშირებით პანდემია გამოაცხადა. მსოფლიოსა და საქართველოში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა რიგი ღონისძიებები, მათ შორის გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათი 2020 წლის 22 მარტიდან - 2020 წლის 22 მაისამდე. 2020 წლის 28 ნოემბრიდან რამდენიმე შეზღუდვა განახლდა და გრძელდება 2021 წლის განმავლობაშიც. კომპანიის მენეჯმენტი ვერ აკეთებს ზუსტ პროგნოზს, თუ რა ეფექტი ექნება COVID-19-ს და მასთან დაკავშირებულ მოვლენებს კომპანიის საქმიანობაზე, თუმცა, მენეჯმენტის შეფასებით, COVID-19-თან დაკავშირებულ რისკებს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენის მოხდენა არ შეუძლია კომპანიის უნარზე, საქმიანობა გააგრძელოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

მსჯელობები და შეფასების განუსაზღვრელობის საკვანძო მიზეზები

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გააკეთა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, რომლებსაც ზეგავლენა აქვთ გარკვეული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებზე, ხარჯებსა და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე. კომპანია პერიოდულად ამოწმებს ასეთ შეფასებებს და დაშვებებს, რათა დარწმუნდეს, რომ ისინი მოიცავს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ხელთ არსებულ ყველა სათანადო ინფორმაციას. თუმცა, ეს არ გამორიცხავს რეალური ციფრების შეფასებულ მონაცემებთან განსხვავებულობის ფაქტს.

ქვემოთ განხილულია კომპანიის საღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში მიღებული შეფასებები და დაშვებები, რომლებსაც მეტწილად ზეგავლენა აქვთ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ რაოდენობებზე, და რომლებიც შემდგომი ფინანსური წლის განმავლობაში იწვევენ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების არსებითი კორექტირების რისკს

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად, საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარი შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიადგება კომპანიას სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. კომპანიის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შეკითხვები გაუჩნდეთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. ასევე შესაძლებელია, რომ იმ ოპერაციებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მიმართაც ადრე არ ჰქონიათ შეკითხვები, ახლა გაჩნდეს შეკითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები.

რისკების მართვა

ა) **ფინანსური რისკების მართვა.** ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე,

„კომპანია“ დგას შემდეგი რისკების წინაშე: - საკრედიტო რისკი - ლიკვიდურობის რისკი - საბაზრო რისკი წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას „კომპანიაზე“ ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის გავლენის, ასევე მათი შეფასებისა და მართვისათვის „კომპანიის“ მიზნების, პოლიტიკებისა და პროცესების და „კომპანიის“ ხელმძღვანელობის მიერ კაპიტალის მართვის შესახებ. სხვა თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში

ბ) რისკების მართვის სტრუქტურა

„კომპანიის“ ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა „კომპანიის“ რისკის მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე. „კომპანიის“ ხელმძღვანელობა ვალდებულია განავითაროს და მონიტორინგი გაუწიოს ორგანიზაციის რისკების მართვის პოლიტიკას. „კომპანიის“ რისკის მართვის პოლიტიკა დადგენილია „კომპანიაზე“ რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზისთვის, რისკის შესაბამისი ლიმიტების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და „კომპანიის“ საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. „კომპანიას“ მიზნად აქვს ტრენინგების, ხელმძღვანელობის სტანდარტებისა და პროცედურების მეშვეობით ჩამოაყალიბოს დისციპლინური და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომლის მიხედვითაც ყველა თანამშრომელს ეცოდინება თავისი როლი და ვალდებულება.

გ) საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი არის „კომპანიის“ ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვრელი მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალებულებებს.

საკრედიტო რისკი „კომპანიას“ ძირითადად წარმოეშვება სავაჭრო და სხვა მიმდინარე მოთხოვნებიდან და საინვესტიციო ქაღალდებიდან. საკრედიტო რისკის გავლენა საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა). კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

კომპანია საკრედიტო რისკების ჯგუფურ და ინდივიდუალურ შეფასებას ახორციელებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

დ) ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ „კომპანია“ ვერ შეძლებს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები ფულადი სახსრებით ან ფინანსური აქტივებით. ლიკვიდურობის მართვის „კომპანისეული“ მიდგომა არის, რამდენადაც შესაძლებელია, გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულების გაჩენისას, „კომპანიას“ ყოველთვის ჰქონდეს დავალიანების შესაბამისი ლიკვიდურობა, როგორც ჩვეულ, ისე - სტრესულ მდგომარეობაში, მისი რეპუტაციის ქვეშ დაყენების და დანაკარგების წარმოშობის გარეშე. შპს „ზურაბ საბახტარაშვილის სახელობის რეპროდუქციული კლინიკი“-ს ფულადი სახსრები სრულად განთავსებულია მიმდინარე ანგარიშზე ბანკებში, რომელიც ასევე ამყარებს „კომპანიის“ ლიკვიდურობას.

ე) საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებს, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს „კომპანიის“ მფლობელობაში არსებული ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

ვ) კაპიტალის მართვა „კომპანიის“ საქმიანობიდან გამომდინარე, მას არ აქვს ფორმალური კაპიტალის მართვის პოლიტიკა. გარდა ამისა, „კომპანია“ არ ექვემდებარება კაპიტალთან დაკავშირებულ გარე მოთხოვნებს. „კომპანიის“ კაპიტალის მართვაზე გადაწყვეტილებებს იღებს მისი მფლობელი.